პროექტი

საქართველოს კანონის პროექტი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილე~~ბე~~ბის ~~და დამატებების~~ შეტანის შესახებ“

მუხლი 1. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში (*საქართველოს 2004წლის 23 დეკემბერიკანონი №780– ვებგვერდი, 18.01.2005 წ.*) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილე~~ბე~~ბა~~ა: და დამატებები:~~

1. მე-2 მუხლის „ წ “ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„—წ) რეკლამა – კომერციული, სოციალური,არაწინასაარჩევნო პოლიტიკური ან წინასაარჩევნო რეკლამა, გარდა მაუწყებლის მიერ საკუთარ ან დამოუკიდებელ პროგრამასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებისა, რომელიც არის ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, საქონელზე, მომსახურებაზე, სამუშაოზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური ან იურიდიული პირის, საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას;“

2. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ $წ^1$ “პუნქტი:

„ $წ^1$) არაწინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამა - არაწინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამა არის არაწინასაარჩევნო პერიოდში იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება პოლიტიკური პარტიის იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას;“

3. ~~4.~~ 66-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი :

„8. მაუწყებელს უფლება აქვს არაწინასაარჩევნო პერიოდში თავის ეთერში ყოველ ექვს საათში განათავსოს იმ პოლიტიკური პარტიის ფასიანი არაწინასარჩევნო პოლიტიკური რეკლამა, რომელმაც საერთო არჩევნებში დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში გადალახა ბარიერი და საქართველოს პარლამენტში ჰყავს ერთი დეპუტატი მაინც. ამავე პერიოდში ერთი პოლიტიკური პარტიის მიერ განთავსებული რეკლამის დრო არ უნდა აღემატებოდეს ასოთხმოც წამს. “

4. 66[1] მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ~~შენიშვნა:~~მე-4 პუნქტი

~~„შენიშვნა:~~

„4. ამ მუხლის პირველ პუნქტში არსებული აკრძალვები არ ვრცელდება არაწინასაარჩევნო პერიოდში იმ პოლიტიკური პარტიის პოლიტიკური რეკლამის მომზადებისა და გავრცელების მომსახურების შესყიდვაზე, რომელმაც საერთო არჩევნებში დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში გადალახა ბაიერი და საქართველოს პარლამენტში ჰყავს ერთი დეპუტატი მაინც.“

~~4. 66-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი :~~

~~„მაუწყებელს უფლება აქვს არაწინასაარჩევნო პერიოდში თავის ეთერში ყოველ ექვს საათში განათავსოს იმ პოლიტიკური პარტიის ფასიანი არაწინასარჩევნო პოლიტიკური რეკლამა, რომელმაც საერთო არჩევნებში დამოუკიდებლად ან ბლოკის შემადგენლობაში გადალახა ბარიერი და საქართველოს პარლამენტში ჰყავს ერთი დეპუტატი მაინც. ამავე პერიოდში ერთი პოლიტიკური პარტიის მიერ განთავსებული რეკლამის დრო არ უნდა აღემატებოდეს ასოთხმოც წამს. “~~

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*